

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

თბილისი

18 ივლისი 2015 წ.

სხდომის ოქმი №3/2015

სხდომას ესწრებოდნენ:

1. პროფესორი ვალენტინა საყვარელიძე
2. პროფესორი კახი ყურაშვილი
3. პროფესორი თამარ ჩიტოშვილი
4. პროფესორი მაკა კაჭარავა
5. პროფესორი მანანა პაიჭაძე;
6. პროფესორი ტატიანა ზუბიაშვილი;
7. პროფესორი მადონა გელაშვილი;
8. ასოც. პროფესორი ილონა საყვარელიძე

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემის დანართების №3, №4, №5 -ის მოდიფიცირების თაობაზე (მომხს. მ.კაჭარავა).

მოისმინეს: პროფ. მაკა კაჭარავას ინფორმაცია, რომ “უმადლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლისა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია შევიდეს ცვლილებები თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემის დანართებში №3, №4, №5. მომხსენებელმა წარმოადგინა მოდიფიცირებული შეფასების სისტემის პროექტი და შესაბამისი მოდიფიცირებული დანართები და აუდიტორიას გააცნო რედაქტირებული დანართები, კერძოდ:

ა) საბაკალავრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციაში შეიცვალოს მუხლი 2 /საბაკალავრო ნაშრომის შეფასება/ და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების თითოეული კომპონენტი (იხ. დანართი 1);

ბ) სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციაში შეიცვალოს მუხლი 1 /სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ზოგადი რეგულაციები/ და მუხლი 2 /სამაგისტრო ნაშრომის

შეფასება/ და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების თითოეული კომპონენტი (იხ.დანართი 2);

გ) პროფესიული (სასწავლო/საწარმოო) პრაქტიკის შესრულების ინსტრუქციაში შეიცვალოს მუხლი 7 /პრაქტიკის შეფასება/ და დეტალურად ჩაიშალოს შეფასების თითოეული კომპონენტი და ასევე შეტანილ იქნეს ცვლილება პრაქტიკის შუალედური შეფასების კომპონენტებში, რომელიც დაიყოს სტუდენტის აქტივობასა და პრაქტიკის დღიურის წარმოებაზე და შესაბამისად, შეიცვალოს შუალედური შეფასების უწყისი N1 (აქტიურობა და შესრულებული სამუშაოს დემონსტირება), შუალედური შეფასების უწყისი N2 (პრაქტიკის დღიურის წარმოება), პრაქტიკის დასკვნითი შეფასების უწყისი (ანგარიშის შეფასება), (იხ.დანართი 3);

პროფ. მ.კაჭარავამ აუდიტორიას სთხოვა, რომ მხარი დაუჭიროს მის წინადადებას და მოდიფიცირებული თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის შეფასების სისტემა დასამტკიცებლად გადაეცეს თჰუ რექტორს პროფესორ ვალენტინა საყვარელიძეს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. კ.ყურაშვილმა, მ. გელაშვილმა.

ერთხმად გადაწყვიტეს:

1. მოდიფიცირებულ იქნეს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მოქმედი შეფასების სისტემის დანართები №3, №4, №5.
2. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილებების ბრძანებაში ასახვა.
- 3.ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

ვ. საყვარელიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი:

კ. ყურაშვილი